



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„საბანკო გარანტია, როგორც უზრუნველყოფის აბსტრაქტული საშუალება“

ნუცა კუჭაიძე

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0156, საქართველო.

2019

ავტორი: ნუცა კუჭაიძე _____

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: ბიზნეს სამართალი

საგანმანათლებლო პროგრამა:

„ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნუცა კუჭაიძის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „საბანკო გარანტია, როგორც უზრუნველყოფის აბსტრაქტული საშუალება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის, ბიზნეს სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თარიღი _____

ხელმძღვანელი : ზურაბ ჭეჭელაშვილი, სამართლის დოქტორი

რეცენზენტი:

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

შინაარსი

რეზიუმე.....	4
Summary.....	6
შესავალი.....	8
თავი I. საბანკო გარანტია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი.....	11
1.1 საბანკო გარანტიის სამართლებრივი ცნება და მნიშვნელობა	11
1.2 საბანკო გარანტიის, როგორც საბანკო მომსახურება და მისი რეგულირება ეროვნული კანონმდებლობით	13
1.3 საბანკო (დამოუკიდებელი) გარანტიის მოქმედების ფარგლები	18
თავი II. საბანკო გარანტიის შესრულების აუცილებელი წინამძღვრები	27
თავი III. საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....	31
თავი IV. საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული პრობლემები.....	41
დასკვნა.....	49
გამოყენებული ლიტერატურა	54

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი წარმოდგენილია თემაზე „საბანკო გარანტია, როგორც უზრუნველყოფის აბსტრაქტული საშუალება“.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისათვის დამახასიათებელია სწრაფი ტემპები, რაც შესაბამისად, მუდმივ ცვლილებას განიცდის საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობის პროცესებიც. სწორედ, ამიტომაც საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების სრულყოფა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაშიც საბანკო სფეროს განსაკუთრებული როლი აკისრია.

ნაშრომი შესრულებულია კომპიუტერზე ნაბეჭდი 57 გვერდზე. ნაშრომის შედგება შესავალის, ოთხი თავის, სამი ქვეთავის, დასკვნისაგან და თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა.

ნაშრომის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები, კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც საბანკო გარანტიის შესახებ, თეორიული ნაშრომი ქართულ სამართალში ძალიან მცირეა და, შესაბამისად, ჩემს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ერთ-ერთი მცდელობაა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოქმედი ნორმები შემუშავებულ იქნა საერთაშორისო სამართლის იმ ნორმების საფუძველზე, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში მოქმედებდა, რომლებიც წარმოდგენილია XXI თავის V ქვეთავში.

პირველ თავში წარმოდგენილია საბანკო გარანტია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, სადაც განხილულია საბანკო გარანტიის სამართლებრივი ცნება და მნიშვნელობა; საბანკო გარანტიის, როგორც საბანკო მომსახურება და მისი რეგულირება; საბანკო (დამოუკიდებელი) გარანტიის მოქმედების ფარგლები. ქართულ სამართალში გარანტიები მუდამ განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება. ამ კონტექსტში გარანტიები დიდი ხანია ცნობილია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში, ვინაიდან ასეთი სახით იყვნენ ისინი წარმოდგენილი საბჭოთა პერიოდის ქართულ კანონმდებლობაშიც კი.

მეორე თავში განხილულია საბანკო გარანტიის შესრულების აუცილებელი წინამდებარეობები.

მესამე თავში წარმოდგენილია საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. სასამართლო პრაქტიკა საბანკო გარანტიასთან დაკავშირებულ დავებზე საკმაოდ მცირეა. შევეცდებით წარმოვადგინოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება ჩვენ მიერ წარმოდგენილ კვლევას, რომელიც მნიშვნელოვანია პრაქტიკისათვის.

მეოთხე თავში განხილულია საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენ წინა თავებში წარმოვადგინეთ საბანკო გარანტიების სამართლებრივი ანალიზი, რაშიც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო კვლევები, რომლებიც არსებითად იხილავენ საბანკო გარანტიიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების საფუძვლებს, არსს და სამართლებრივ შედეგებს.

ქართველი მეცნიერების მიზანს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის არსებული ნორმების ირგვლივ მსჯელობა, რომელიც თავის მხრივ შემეცნებით და მიმოხილვით ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, ქართველ მეცნიერთა ზოგიერთი მოსაზრება ართულებს საბანკო გარანტიის არსის გაგებას, მის გაცემასა და შემდგომ მხარდაჭერას.

SUMMARY

The current topic of this research is "A Bank Guarantee as Means of an Abstract Provision".

The development of the modern world economy is characterized by rapid pace, which, accordingly, is constantly changing international-economic relations. That is why the improvement of international economic ties is of particular importance, in which the banking sector has a special role.

The work is done on a computer and there are in total 57 printed pages. The thesis consists of an introductory, four main chapters, three subchapter, and the bibliography.

The topic itself is very acute and important for Georgian market. This area is not widely studied and it is my first try to research it a bit deeper and understand its importance in Georgian law. The norms established in the Civil Code of Georgia were elaborated on the basis of the norms of international law, which acted in the nineties that were presented in Chapter X. Chapter V.

The first chapter provides a bank guarantee as a legal institution where the legal concept and meaning of bank guarantee is discussed; Banking guarantee as banking and as a method of regulation; Scope of banking (independent) guarantee. Guarantees in Georgian law are always considered as one of the main means of ensuring fulfillment of the obligation. In this context, the guarantees have long been known in the civil law legislation, as they were presented in the Georgian legislation of the Soviet period.

The second chapter discusses the necessary prerequisites for fulfillment of bank guarantee.

The third chapter provides an analysis of court practices related to bank guarantees. The court practice of banking guarantees is quite small. There will be a try of presenting current practices and court decisions – best practices.

Chapter four discusses bankruptcy problems. There will be presented a legal analysis of bank guarantees that were discussed in previous chapters, which greatly assisted scientific researchers of Georgian scholars who essentially see the basics, essence and legal consequences of legal relations derived from bank guarantee.

One of the main goals of Georgian scientists is to analyze and discuss Civil Code's existing norms, which can be considered as cognitive way of discussing it, while others

see bank guarantees as more complex system together with issuance of bank loans and its further support.

შესავალი

საბანკო საქმიანობის პროცესში წარმოიშობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფართო სპექტრი, რომლის სამართლებრივი რეგულირების შედეგად იგი გარდაიქმნება საბანკო სამართლებრივ ურთიერთობებად. საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თავისებურებები სრულად აისახება შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებში.

თემის აქტუალობა. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისათვის დამახასიათებელია სწრაფი ტემპები, რაც შესაბამისად, მუდმივ ცვლილებას განიცდის საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობის პროცესებიც. სწორედ, ამიტომაც საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების სრულყოფა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაშიც საბანკო სფეროს განსაკუთრებული როლი აკისრია.

ნაშრომი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც საბანკო გარანტიის შესახებ, თეორიული ნაშრომი ქართულ სამართალში ძალიან მცირეა და, შესაბამისად, ჩემს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ერთ-ერთი მცდელობაა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოქმედი ნორმები შემუშავებულ იქნა საერთაშორისო სამართლის იმ ნორმების საფუძველზე, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში მოქმედებდა, რომელიც რომლებიც წარმოდგენილია XXI თავის V ქვეთავში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მთლიანად იმეორებს საბჭოთა კავშირის დროინდელ სამოქალაქო კოდექსის შინაარსის ნორმებს, რომელიც 1994 წელს იქნა მიღებული. საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ საბანკო გარანტია ჯერ კიდევ ქართველი მეცნიერების მიერ საერთაშორისო კერძო სამართალთან და უნიფიცირებულ წესებთან

მიმართებით სათანადოდ არაა გამოკვლეული. 2010 წლიდან მოყოლებული მსოფლიოს ბევრი ქვეყანა დაინტერესდა ამ ინსტიტუტით, როგორც ფინანსური ინსტრუმენტით. საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტების კვლევას გამოხატული პრაქტიკული მიზანი და დანიშნულება გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება ითქვას რომ დღესდღეობით საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე შეუძლებელია არც ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტის განხორციელება საბანკო გარანტიების გამოყენების გარეშე. გარანტიების გამოყენებას ვაწყდებით ინფრასტრუქტურულ, მსხვილ სავაჭრო და სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციებში. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, საქართველოში სამეურნეო სუბიექტები და მეწარმეები ცუდად ერკვევიან ამ ინსტრუმენტის ბუნებასა და მოქმედების მექანიზმებში, ზოგჯერ ვერც კი აცნობიერებენ თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს მის არასწორ გამოყენებას და, შესაბამისად, ვერ ახერხებენ სასურველი ეფექტის მიღებას. ასევე, მცირეა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, თუ არ გავითვალისწინებთ საბანკო დაწესებულებებში მომუშავე ერთეულ სპეციალისტებს, რომელთაც საბანკო ოპერაციებთან ყოველდღიურ შეხება აქვთ. საბანკო გარანტიის ინსტიტუტის შესაძლებლობებმა მასზე მოთხოვნის ზრდა გამოიწვია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, ამიტომაც აქტუალურია თემა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს, საბანკო გარანტიების ბუნების სამართლებრივი ანალიზი და მოქმედების მექანიზმების გამოკვეთა რაც საშუალებას მისცემთ ამსფეროში დაკავებულ პირებს და იურისტებს აღნიშნული ინსტრუმენტის სწორად გამოიყენებისა, შესაბამისი სამართლებრივი შეფასებანი მისცენ მასთან დაკავშირებით წამოჭრილ დავებს.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საბანკო

გარანტიებთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს: გარანტიათა ტერმინოლოგია, წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მისი შედარება სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან. ასევე, კვლევის მიზანია თავისუფალი ბაზრისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო გარანტიის არსის და მნიშვნელობის წარმოჩენა. ბუნდოვანი და მოუწესრიგებელი სამართლებრივი ურთიერთობების გამოკვეთა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საბანკო გარანტიის შესახებ.

კვლევის ამოცანას კი წარმოადგენს საბანკო გარანტიის წარმოჩენა, როგორც უზრუნველყოფის აბსტრაქტული საშუალება.

კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ზოგად-სამეცნიერო მეთოდები. კერძოდ, საბანკო გარანტიის სამართლებრივი მხარე განხილულია შედარებითი, ისტორიული და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე. შედარებითი ანალიზისათვის სპეციალურად შეირჩა იმ სახელმწიფოთა კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა. გარდა ნაციონალური კანონმდებლობებისა, ასევე ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებზე, რომლებიც წარმოადგენენ უმთავრეს სამართლის წყაროს საბანკო გარანტიების მიმართებით.

პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის პრაქტიკულობა შეიძლება მოიაზრებოდეს, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მოთხოვნის სათანადობის მაკვალიფიცირებელი გარემოებების წერილობითობის, დამასაბუთებელი ინფორმაციის თუ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველყოფადაც გაიცა გარანტია და პირობა, რომლის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიაში მითითებულ დოკუმენტებს (იმ შემთხვევაში, თუ ეს დოკუმენტები მითითებულია საბანკო გარანტიაში).

თავი I. საბანკო გარანტია, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი

1.1 საბანკო გარანტიის სამართლებრივი ცნება და მნიშვნელობა

“მეცნიერ იურისტები თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ ტერმინოლოგიურად და კონცეპტუალურად გარანტიების ცნება ბუნდოვანი და გაურკვეველია და გარანტიათა უნიფიცირებული განსაზღვრება ფაქტობრივად არ არსებობს”.¹ აღნიშნულის მიზეზად სახელდება გარემოება, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო სამართალი დამყარებულია სხვადასხვა კონცეფციაზე და გარანტიის აღსანიშნავად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი.

ქართულ სამართალში გარანტიები მუდამ განიხილება, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება. ამ კონტექსტში გარანტიები დიდი ხანია ცნობილია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში, ვინაიდან ასეთი სახით იყვნენ ისინი წარმოდგენილი საბჭოთა პერიოდის ქართულ კანონმდებლობაშიც კი.

საქართველოს სამოქალაქო სამართლიდან გამომდინარე საბანკო ოპერაციებს მიეკუთვნებენ ჩვენ მიერ საკვლევ ნორმასაც - საბანკო გრანტები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 879-891 მუხლი).

საბანკო საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბანკო გარანტიები შედარებით ახალი სამართლებრივი ფენომენია, რომელიც გამოჩნდა ამერიკის შიდა ბაზარზე 60-იანი წლების შუა ხანებში, მაგრამ საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში შესამჩნევი ადგილი მხოლოდ 70-იანი წლების დასაწყისში

¹ ხოტენაშვილი, პაატა, 2003. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთო საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, გვ. 336; ციტირებულია: *Horn/Wymersee*, Bank-Guarantees, Stand-by Letters of Credit and Performance Bonds in International Trade – in: *Horn* (ed.), *The Law of International Trade and Finance*, Boston, 1989, 459-460, ასევე *Bertrams*, *Bank Guarantees in International Trade*, The Hague (Kluwer), 1996 (2. ed.), 3.

დაიკავა. საბანკო გარანტიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც წმინდა საფინანსო, ასევე არასაფინანსო კონტრაქტების უზრუნველყოფის მიზნით. სხვადასხვა ქვეყნის კანონდებლობა სხვადასხვანაირად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც საბანკო გარანტიის გაცემა შეუძლია. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ესენი არიან “ბანკები, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია”.²

“საბანკო გარანტიების ყველაზე დიდი თავისებურებაა მათი ძირითადი კონტრაქტისაგან დამოუკიდებლობა, ხოლო მისი მიზანია დაიცვას კრედიტორი დანაკარგებისაგან და პარალელურად ძირითადი მოვალის გადახდის უუნარობის შემთხვევაში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. ასე, მაგალითად, აშშ-სა და კანადაში სადაზღვევო კომპანიები ხშირად ანხორციელებენ საგარანტიო მომსახურეობას ისევე, როგორც სპეციალურ ფასიან ქალაქებთან მომუშავე კომპანიები”.³ “ამ ქვეყნებში გარანტიები შეიძლება გასცეს ნებისმიერმა დაწესებულებამ, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა. კრედიტის თვალსაზრისით არასაბანკო და არასადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული გარანტიები ნაკლებად საიმედოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობა შეიძლება არამყარი იყოს, არამედ უფრო იმიტომ, რომ როგორც წესი, ეს კომპანიები ფინანსურად და კომერციულად ძირითად მოვალესთან არის დაკავშირებული. ამიტომ კრედიტორები, მოითხოვენ ბანკებისა და სხვა მდგარდი ინსტიტუტების მიერ გაცემულ გარანტიებს. საბანკო გარანტია გულისხმობს მხარეებს შორის რისკის განაწილებას, რომელიც უმეტესად დამოკიდებულია გარანტიის გადახდის ტიპის შერჩევასა და პირობებზე. საბანკო გარანტიების ძირითად ფუნქციას

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 2000. გამომც. „სამართალი“, თბილისი. გვ. 264

³ ბარბაქაძე, ხათუნა. 2008. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში; მონოგრაფია <http://www.nplg.gov.ge> (სამოქალაქო ბიბლიოთეკა). თბილისი. გვ. 33

წარმოადგენს: ჯერ ერთი, ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების უსაფრთხოება. ეს მიზანი მიიღწევა კრედიტორისათვის ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსური კომპენსაციის უზრუნველყოფით და მეორე, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის კომპენსირების შემთხვევაში”.⁴

1.2 საბანკო გარანტიის, როგორც საბანკო მომსახურება და მისი რეგულირება ეროვნული კანონმდებლობით

“საბანკო საქმიანობის რეგულირება ქვეყნის საბანკო საქმიანობის სისტემაში მნიშვნელოვან სამართლებრივ ელემენტს წარმოადგენს, რომელიც არის ბანკების მიმართ მოთხოვნათა დაცვის სპეციფიკური სისტემა, რომელიც განსახვავდება იმ მოთხოვნებისაგან, რომელიც სხვა იურიდიულ პირებს წაეყენებათ. ასევე, მნიშვნელოვანია, კონტროლი იმ სპეციფიკური მოთხოვნების დაცვაზე, რომელებიც ბანკებს ეკისრებათ, რომელიც წარმოადგენს საბანკო ზედამხედველობის არსს ფართო გაგებით, ხოლო ვიწრო გაგებით კი საბანკო ზედამხედველობას ქვეყნების საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლითაც სახელმწიფო რწმუნებული ორგანო არეგულირებს და კონტროლს უწევს საკრედიტო ორგანიზაციებისთვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვას, როგორებიცაა: აქტივები,

⁴ ბარბაქაძე, ხათუნა. 2008. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში; მონოგრაფია <http://www.nplg.gov.ge> (სამოქალაქო ბიბლიოთეკა). თბილისი. გვ. 33-34

ვალდებულებები და საკუთარი სახსრები მდგომარეობა”.⁵

“ზოგადად, უნდა ითქვას, რომ საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მთავრია მიზანს საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს, კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკების თავიდან აცილება, რომელიც კომერციული ბანკების, მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვა . საბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი ორგანოს ამოცანაა, ასევე მომხმარებლის უფლებათა დაცვა, ვინაიდან მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი არის კომერციული ბანკების მომსახურეობა ან არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების საიმედოობა.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საბანკო ზედამხედველობის განუვითარებლობა იწვევს:

- პირველი, ეროვნული მეურნეობის სუბიექტების საბანკო დაწესებულებების მიმართ უნდობლობას;
- მეორე, სათანადო ინფორმაციის არ არსებობის გამო კლიენტებს ფაქტიურად არა აქვთ ბანკის რაციონალური შერჩევის საშუალება;
- მესამე, პანიკური განწყობის წარმოქმნის შესაძლებლობის მაღალ დონეს; მეოთხე, საკრედიტო რესურსების შესაძლებელ გადადინებას უფრო მყარი საბანკო სისტემის ქვეყნის ბანკებში, რაც მთლიანობაში უარყოფითად მოქმედებს საბანკო სისტემის სტრატეგიულ პერსპექტივებზე.

საბანკო სისტემის ზედამხედველობისა და რეგულირების ამოცანები საფინანსო-საკრედიტო სისტემის სტაბილურობის ამალღების მიზნით შესაძლოა

⁵ შენგელია რომან. 2014. საბანკო სამართლის საფუძვლები: (სახელმძღვანელო), თბილისი. გვ. 81

მიმართული იქნეს ზემოაღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად”.⁶

“თანამედროვე მსოფლიოში საბანკო მომსახურების სფერო საკმაოდ ფართო სფეროს წარმოადგენს და იგი ყოველდღიურად იზრდება და ვითარდება. საბანკო მომსახურების სფეროში არსებული ურთიერთობები რეგულირდება, საქართველოს კონსტიტუციით”⁷, “სამოქალაქო კოდექსით”⁸, ორგანული კანონებით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და მრავალი სხვა (სპეციალური) ნორმატიული აქტებით.

“სამოქალაქო კოდექსის ოცდამეერთე თავით მოწესრიგებულია ანგარიშსწორების ხელშეკრულების, საბანკო კრედიტის, ანაბარის, დოკუმენტალური (სასაქონლო აკრედიტივისა და საბანკო გარანტიის ნორმატიული რეგულირება”.⁹

“საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის”¹⁰ “კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე”.¹¹

“როგორც ვხედავთ, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, კლიენტის მიერ

⁶ ბარბაქაძე, ხათუნა. 2008. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში; მონოგრაფია <http://www.nplg.gov.ge> (სამოქალაქო ბიბლიოთეკა). თბილისი. გვ. 35

⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 95-ე და 96-ე მუხლები

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თავი XXI, 859-866-ე მუხლები

⁹ თუმანიშვილი, გიორგი, 2012. ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 163

¹⁰ პირი, რომელიც ბენეფიციარის მოვალეა (მირითადი ვალდებულების მიხედვით) და სთხოვს ბანკს ან სხვა საკრედიტო დაწესებულებას, დაუდგეს ვალდებულების შესრულების გარანტად.

¹¹ თუმანიშვილი, გიორგი, 2012. ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 183

სესხის დროულად არგადახდის შემთხვევაში იღებს ვალდებულებას თვითონ იკისროს მისი გადახდა. გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც ფულადი ფორმითაა გამოხატული, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კრედიტორის წინაშე მოვალე და გარანტი (რწმუნებული) პასუხს აგებენ სოლიდარულად. გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს, კრედიტორს უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე დაკისრებულ ვალდებულებაზე. კლასიკური რომის სამართალი იცნობდა საბანკო გარანტიის უზრუნველყოფას, რომელსაც *receptum argentarii* ერქვა. ეს იყო არაფორმალური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბანკირი იღებდა ვალდებულებას თავისი კლიენტის წინაშე გადაეხადა მისი ვალი მესამე პირისათვის. ამ შეთანხმების მიხედვით ბანკირი (*argentari*) არ ხდებოდა მესამე პირის მოვალე: მესამე პირი რჩებოდა მხოლოდ ბანკირის კლიენტის კრედიტორად. თუ მოვალეს არ გააჩნდა სახსრები გადახდისათვის, მაშინ იგი სთავაზობდა თავისი ბანკირის მომსახურებას, რომელთანაც მოვალეს ჰქონდა შეთანხმება დადებული. თუ ბანკირი უარს ამბობდა გადახდაზე, კლიენტი ღებულობდა სასარჩელო დაცვას (*actio receptia*). აქტის ეს ფორმა შესაძლებელია ჩაითვალოს საბანკო გარანტიის ისტორიულ წინამორბედად. საბანკო გარანტია (მისი უშუალო მიზნიდან გამომდინარე) შესაძლებელია პირობითად რამოდენიმე სხვადასხვა სახედ დაიყოს: წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო) გარანტია - იმისათვის, რომ ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, მან უნდა წარადგინოს წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, რომელიც გულისხმობს შემდეგს: აღნიშნული საბანკო გარანტიით ტენდერში მონაწილის მომსახურე ბანკი იღებს ვალდებულებას, ბენეფიციარს გადაუხადოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა, თუ მონაწილემ დაარღვია კონკურსის პირობები”.¹²

¹² თუმანიშვილი, გიორგი, 2012. ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-

“საავანსო საბანკო გარანტია - აღნიშნული საბანკო გარანტიით ბანკი იღებს ვალდებულებას, ბენეფიციარს გადაუხადოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა, თუ პრინციპალმა არამიზნობრივად გახარჯა კონტრაქტორის მიერ ჩარიცხული საავანსო თანხა; ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია - აღნიშნული საბანკო გარანტიით ბანკი იღებს ვალდებულებას, ბენეფიციარს გადაუხადოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა, თუ პრინციპალი დაარღვევს კონტრაქტის პირობებს”¹³; “წინასწარი გადახდის გარანტია (გარანტია გადახდაზე) - გაიცემა თანხის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად იმ შემთხვევისთვის, თუ არ მოხდა კონტრაქტით შეთანხმებული მიწოდება; ხარისხის გარანტია (გარანტია ხარისხზე) - ასეთი ტიპის გარანტია გაიცემა კომპანიისთვის მიწოდებული პროდუქციისა და მომსახურების უხარისხობის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების უზრუნველსაყოფად; კონტრ-გარანტია - გაიცემა ერთი ბანკის მიერ მეორე ბანკის საგარანტიო წერილის საფუძველზე; საკონკურსო (სააუქციონო) წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, აუქციონში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში. საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს”¹⁴.

სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 183-184

¹³ ავტ. კოლექტივი, 2001. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 4, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტ. 2, თბილისი. გვ. 215

¹⁴ თუმანიშვილი, გიორგი, 2012. ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 187

1.3 საბანკო (დამოუკიდებელი) გარანტიის მოქმედების ფარგლები

“საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 884-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან. კანონის ასეთი მოთხოვნა სავსებით შეესაბამება გარანტიის ბუნებასა და მიზანს, ვინაიდან ძალაში მყოფი გარანტიის წარდგენა ხშირად ძირითადი კონტრაქტის ძალაში შესვლის პირობად გვევლინება. ამდენად, სრულიად ლოგიკურია მხარეთა დაინტერესება, რომ საბანკო გარანტია ამოქმედდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად, რაც გაითვალისწინა კანონმდებელმა. ამასთან, საგულისხმოა, რომ კოდექსის ეს ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და მხარეებს შეუძლიათ, გვერდი აუარონ მას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, გარანტია შეიძლება ძალაში შევიდეს უფრო გვიანი თარიღიდან, თუკი ეს პირდაპირაა გათვალისწინებული მის ტექსტში”.¹⁵

ეროვნული კანონმდებლობების ეს ნორმები სრულად შეესაბამება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საბანკო გარანტია საერთაშორისო კომერციის პროდუქტია და ეროვნულმა კანონმდებლობებმა საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმათა რეცეფცია მოახდინეს და არა პირიქით. URDG-ის მე-6 მუხლის თანახმად, გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის მომენტიდან, თუკი მასში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამასთან, გარანტიაში შეიძლება მიეთითოს მისი ძალაში შესვლის უფრო გვიანდელი ვადა.

“აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გარანტიის ძალაში შესვლის პირობად მითითებულია მისი მიღება ბენეფიციარის მიერ, თუმცა აღნიშნული

¹⁵ ხოტენაშვილი, პაატა, 2003. საბანკო (დამოუკიდებელი) გარანტიათა ზოგიერთო საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, გვ. 336; ციტირებულია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 2000. გამომც. „სამართალი“, თბილისი. გვ. 264

მხოლოდ ძალაში შესვლის საკითხს უკავშირდება და ეს არანაირად არ შეეხება გარანტიის იურიდიული ბუნების, ანუ მისი ნამდვილობის (ვალდებულების არსებობის)საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ბენეფიციარის მიერ მის მიღებას მნიშვნელობა არ აქვს”.¹⁶

“საბანკო გარანტია გაიცემა გარკვეული ვადით, რომელიც თვით ამ ვალდებულებაშია მითითებული. ეს ვადა შეიძლება განისაზღვროს გარკვეული თარიღის მითითებით, რომლის შემდგომ საბანკო გარანტია წყვეტს თავის მოქმედებას, ანდა გარანტიის გაცემის მომენტიდან მოყოლებული მისი მოქმედების ვადის მითითებით (მაგ. ერთი თვე). ვადა, როგორც წესი, თვეობით განისაზღვრება. ბენეფიციარის მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ამ ვადაში, რომლის აღდგენაც არ შეიძლება და მისი გაშვება ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია”.¹⁷

“აქვე აღსანიშნავია ის, რომ ზემოთ მითითებულის გარდა, საბანკო გარანტიის ვადა რაღაც მოვლენის დადგომით შეიძლება განისაზღვროს, რომელიც გარანტიის ტექსტში უნდა მიეთითოს”.¹⁸

“საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულ მოთხოვნას არ შეიცავს იმის თაობაზე, რომ გარიგებაში აუცილებელია ვადის დაფიქსირება კალენდარული თარიღის მითითებით ან/და იმ დროის პერიოდი, რომელიც გამოითვლება დღეებით, თვეებით ან წლებით”,¹⁹ “ასევე მოვლენით, რომელიც გარდაუვლად უნდა დადგეს, მაგალითად რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო

¹⁶ იგივე. გვ. 339; ციტირებულია: Олейник, 1997, Основы Банковского Права: Курс лекции. Москва, 363.

¹⁷ ხოტენაშვილი, პაატა, 2003. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთო საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, გვ. 336; ციტირებულია: Сергеев/Тольстои, 1997, Гражданское Право, часть 1, Москва, 583

¹⁸ იგივე. გვ. 340; ციტირებულია: Uniform Rules for Demand Guarantees, ICC pub. N 458, Article 3,

¹⁹ 1997წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 121-ე-127-ე მუხლები.

კოდექსისაგან განსხვავებით. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ვადის დასაწყისად შეიძლება აღებულ იქნეს ესა თუ ის მოვლენა”,²⁰ “ზოლო მოთხოვნის ან ვალდებულების წარმოშობა შეიძლება დამოკიდებული იყოს მოქმედებაზე”.²¹

“საბანკო გარანტია, რომლის შეწყვეტის პირობად რაიმე მოვლენაა მითითებული, ალბათ გაუქმების პირობით დადებულ გარიგებად უნდა მივიჩნიოთ (სამოქალაქო კოდექსის 97-ე მუხლი), რაც სავსებით მისაღებია ქართული სამართლისათვის. ამასთან, საბანკო გარანტიის ინსტიტუტის მიმართ გამოსაყენებელი სამოქალაქო კოდექსის ნორმები (879-ე-890-ე მუხლები) არ შეიცავს მოთხოვნას გარანტიის ბათილობის თაობაზე, თუ მასში არ არის მითითებული კალენდარული თარიღით ან დროის პერიოდით განსაზღვრული ვადა. სამოქალაქო კოდექსის 889-ე მუხლში გარანტიის ვადის გასვლა მითითებულია მისი შეწყვეტის პირობად, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ჩვენი აზრით, გარანტიის ვადა შეიძლება განისაზღვროს რაიმე მოვლენის დადგომით ან მოქმედების შესრულებით”,²² მით უმეტეს, რომ ასეთი გარანტიები საკმაოდ ხშირად გვხვდება პრაქტიკაში.

“საბანკო გარანტიის ვადის განსაზღვრას რაიმე მოქმედების შესრულებით ან მოვლენის დადგომით საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით პირდაპირ უშვებს. URDG-ის 3.6 მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტია უნდა მიცავდეს ვადას, რომლითაც გაცემულია იგი, ან მიუთითებდეს მოვლენაზე, რომლის დადგომისას იგი წყვეტს მოქმედებას. გაეროს კონვენციის 12(ბ) მუხლის თანახმად, ვალდებულების (საბანკო გარანტიის) ვადის გასვლა შესაძლოა დამოკიდებული იყოს რაიმე მოქმედების შესრულებაზე ან მოვლენაზე, თუ ამ მოქმედების შესრულება ან მოვლენის დადგომა დადასტურდება

²⁰ იგივე. 122-ე მუხლი

²¹ იგივე. 131-ე მუხლი

²² 1997წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 97-ე მუხლი

დოკუმენტურად ან თვით ბენეფიციარის მიერ. ძირითადი ვალდებულების (ხელშეკრულების) შესრულება კი სწორედ ისეთ მოვლენებს განეკუთვნება, რომლებიც ლოგიკურად შეიძლება დადასტურებულ იქნეს კრედიტორის, ანუ ბენეფიციარის, მიერ, ანდა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით”.²³

პაატა ხოტენაშვილის აზრით, ამ საკითხთან მიმართებით სწორედ საერთაშორისო კერძო სამართლის პოზიცია უნდა იქნეს მიჩნეული მართებულად, ვინაიდან საბანკო გარანტია, როგორც აღინიშნა, საერთაშორისო კომერციის პროდუქტია და, შესაბამისად, სამართლის ეს დარგი უფრო მეტ გამოცდილებასა და პრაქტიკას ემყარება. უნდა ითქვას ასევე, რომ იმ შემთხვევაში, “თუ გარანტიის მოქმედების ვადა განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულების შესრულებით, ძალზე მნიშვნელოვანია გარანტიის ტექსტშივე მიეთითოს, თუ რომელი დოკუმენტის წარმოდგენით უნდა დადგინდეს ეს ფაქტი. გარდა იმისა, რომ ამას მოითხოვს საბანკო გარანტიების დოკუმენტურობის პრინციპი, იგი თავიდან აგვაცილებს ბევრ გაუგებრობას, რომლებიც შეიძლება კონტრაქტის შესრულება-შეუსრულებლობის შესახებ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებულმა აზრთა სხვაობამ გამოიწვიოს”.²⁴ “შესრულების გარანტიისათვის ანუ გარანტია, რომელიც ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს უტოლდება 6 თვეს ძირითად კონტრაქტში გათვალისწინებული მოწოდების თარიღის შემდგომ ან 1 თვეს საექსპლოატაციო პერიოდის გასვლის შემდგომ. უკუანაზღაურების გარანტიისათვის (გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს საავანსო თანხების დაბრუნებას) იგი შეადგენს 6 თვეს ძირითად

²³ ხოტენაშვილი, პაატა, 2003. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთო საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, გვ. 342

²⁴ ვრცლად: ხოტენაშვილი, პაატა, 2003. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთო საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, გვ. 336-344

ხელშეკრულებაში დათქმული მოწოდების ვადიდან ან სამუშაოების დამთავრების თარიღიდან. კომერციული ოპერაციის განხორციელებისას წარმოშობილი ობიექტური მიზეზების გამო საბანკო გარანტიის მოქმედების გახანგრძლივების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას. არაპირდაპირი გარანტიის შემთხვევაში ასეთი გახანგრძლივების აუცილებელი პირობაა გარანტი ბანკისა და ემიტენტი ბანკის თანხმობა. URDG-ის 26-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ბენეფიციარი ითხოვს გარანტიის ვადის გაგრძელებას როგორც გადახდის მოთხოვნის წარმოდგენის ალტერნატივას, ამის შესახებ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პრინციპალს და საშუალება მისცეს პრინციპალსა და ბენეფიციარს, მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება. თუკი შეთანხმება გარანტიის ვადის გაგრძელების თაობაზე მიღწეული ვერ იქნება, ხოლო ბენეფიციარი კვლავაც აყენებს გარანტიის გადახდის მოთხოვნას, გარანტი ვალდებულია დააკმაყოფილოს ბენეფიციარი. ამით გარკვეულწილად ვლინდება მოთხოვნამდე გარანტიების საფრთხე, ვინაიდან არაკეთილსინდისიერმა ბენეფიციარმა იგი შეიძლება გამოიყენოს პრინციპალზე ზეწოლისათვის, იმდენად, რამდენადაც ბანკი ამ სიტუაციაში, გარანტიის დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებული იქნება გადაიხადოს თანხა. პრინციპალი შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს”.²⁵

საბანკო გარანტიის მოქმედების ფარგლების მართებულად გაცნობიერებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია საბანკო გარანტიის გადაცემადობის საკითხის გარკვევა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 883-ე მუხლის შესაბამისად, „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ

²⁵ ხოტენაშვილი, პაატა, 2003. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთო საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, გვ. 344-345

არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული”.²⁶

“ქართველი იურისტების მოსაზრებით, ბენეფიციარის მიმართ დაწესებული ეს შეზღუდვა საბანკო გარანტიის სპეციფიკურობიდან გამომდინარეობს”²⁷ “ზოგადი წესის შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს, სხვა პირს გადასცეს თავისი კუთვნილი მოთხოვნის უფლება). როცა გარანტის მიმართ მოთხოვნის უფლება უჩნდება ბენეფიციარს, იგი ამ დროს კრედიტორის სტატუსს იძენს. მას შეუძლია, გარანტს მოსთხოვოს იმ ვალდებულების შესრულება, რაც არ შეასრულა პრინციპალმა. მაგრამ ჩვეულებრივი კრედიტორისაგან განსხვავებით, კრედიტორ-ბენეფიციარი არ არის უფლებამოსილი, მოთხოვნის უფლება სხვა პირს დაუთმოს. იგულისხმება, რომ გარანტი შეიძლება თანახმა არ იყოს, სხვა პირისათვის შეასრულოს პრინციპალის ვალდებულება და, გარდა ამისა, საბანკო გარანტია კონკრეტულ პირებს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ გარანტის მიმართ მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საბანკო გარანტიით ასეთი რამ შესაძლებლადაა მიჩნეული”.²⁸

“მეცნიერთა ასეთი პოზიცია აბსოლუტურად მართებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ მომენტის აქცენტირებით, რომ საბანკო გარანტია პირველ რიგში უზრუნველყოფის ღონისძიებაა. იგი ემსახურება კონკრეტული ვალდებულების უზრუნველყოფას, რაც თვით საგარანტიო წერილის ტექსტში მიეთითება და, შესაბამისად, მისი თავისუფლად გადაცემადობა ვერ იქნება მისი მიზნებისა და იურიდიული ბუნების შესაბამისი. მიუხედავად ამისა, კანონის აღნიშნული

²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 883-ე მუხლი

²⁷ შენგელია, რომანი და სხვები, 2001, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი 2, თბილისი, გვ. 220.

²⁸ შენგელია, რომანი და სხვები, 2001, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი 2, თბილისი, გვ. 220

ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა და მხარეებს უფლება აქვთ, თვით საბანკო გარანტიაში გაითვალისწინონ მოთხოვნის უფლების ბენეფიციარისაგან სხვა პირზე გადაცემის შესაძლებლობა. პრაქტიკაში შეიძლება ეს განხორციელდეს, იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელდება ძირითად ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილება თვით საგარანტო წერილში, საგარანტო ურთიერთობის მხარეთა შეთანხმებით. მსგავს ნორმებს შეიცავს ასევე საერთაშორისო კერძო სამართალიც, კერძოდ, URDG-ის მე-4 მუხლი, რომლის შესაბამისად, ბენეფიციარის მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას, თუკი ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული გარანტიაში ან მის დამატებებში. გაეროს კონვენციის მე-9 მუხლი ასევე აცხადებს, რომ ბენეფიციარის უფლებები შეიძლება გადაცემულ იქნეს მხოლოდ მაშინ და იმ მოცულობით როგორც ეს ვალდებულებაშია (გარანტიაშია) განსაზღვრული”.²⁹

“საბანკო გარანტიის ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სტაბილურობას, ანუ იმას, თუ რამდენად დაზღვეულია გარანტიის მიმღები (ბენეფიციარი) იმისაგან, რომ ამა თუ იმ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო გარანტია ვადაზე ადრე შეწყვეტს მოქმედებას. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 882-ე მუხლის შესაბამისად საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ზუსტად ანალოგიურ მოთხოვნებს შეიცავს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ 371-ე მუხლი”.³⁰

ასევე სრულიად მოქმედებს საბანკო გარანტიის გამოუთხოვადობის

²⁹ ხოტენაშვილი, პაატა, 2003. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთო საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, გვ. 345

³⁰ შენგელია, რომანი და სხვები, 2001, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი 2, თბილისი, გვ. 222-223

პრინციპი საერთაშორისო საბანკო გარანტიების მიმართ. გაეროს კონვენციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვალდებულება (საბანკო გარანტია ან სარეზერვო აკრედიტივი) ითვლება გამოუთხოვადად მისი გაცემის მომენტიდან, თუკი მასში მითითებული არაა, რომ იგი გამოთხოვადია“. რაც შეეხება საერთაშორისო სავაჭრო პალატის პუბლიკაციებს, URDG-ის მე-5 მუხლიც განამტკიცებს საბანკო გარანტიის გამოუთხოვადობას. „ყველა გარანტია და კონტრგარანტია არის გამოუთხოვადი, თუკი მათში საწინააღმდეგო არაა მითითებული“.³¹

“როგორც საერთაშორისო კერძო სამართალი, ისე ეროვნული კანონმდებლობანი გამონაკლისს აღიარებენ ამ პრინციპიდან, თუკი აღნიშნულის შესახებ საგარანტიო წერილის ტექსტში პირდაპირაა მითითებული”.³² ასეთი გამონაკლისი ბუნებრივია, ვინაიდან საბანკო გარანტიის გამოუთხოვადობა, პირველ რიგში, ბენეფიციარის ინტერესების დაცვას ემსახურება, ხოლო საგარანტიო პირობების დადგენა და შესაბამისად, გარანტიის ტექსტის შედგენა ხდება (ან უნდა ხდებოდეს) ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინებით მას და პრინციპალს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე პრინციპალის მიერ გარანტისათვის მიცემული ინსტრუქციების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს არ დააკმაყოფილებს გარანტიის პირობები, მას შეუძლია, უბრალოდ არ მიიღოს გარანტია და ჩვეულებრივ, ეს იწვევს ძირითადი კონტრაქტის ბათილობას. ამდენად, თუ ბენეფიციარმა მიიღო გარანტია და მის ტექსტში მითითებულია, რომ საბანკო გარანტია შეიძლება გამოთხოვილ იქნეს - ეს შეესაბამება როგორც ბენეფიციარის, ისე გარანტისა და პრინციპალის ნებას.

“გარანტიის მოქმედების ფარგლების ზუსტი განსაზღვრისათვის

³¹ URDG-ის მე-5 მუხლი

³² ხოტენაშვილი, პაატა, 2003. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთო საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3, გვ. 346

აუცილებელია ვიცოდეთ, მოქმედების ვადა რა დროისათვის წყდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება: „ა) ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა გარანტია; ბ) გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა; გ) ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მისი გარანტისათვის დაბრუნებისას”.³³

“ქართველ მეცნიერთა მოსაზრებით, არსებული ნორმა განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებში წყდება ბენეფიციარის მიმართ უკვე წარმოშობილი გარანტის ვალდებულება. ესენია: ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის გადახდა, საგარანტიო ვადის გასვლა და ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე უარის თქმა გარანტის სასარგებლოდ. უკანასკნელ შემთხვევაში საგარანტიო ვალდებულება წყდება ბენეფიციარის ნების გამოვლენის საფუძველზე, გარანტის თანხმობა არ არის საჭირო, ამიტომ ბენეფიციარმა თავისი ნება საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტის შესახებ წერილობით უნდა გამოხატოს. სხვა შემთხვევებში გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ არ წყდება. საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენს თუნდაც ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა, რადგან მას დამოუკიდებელი ხასიათი გააჩნია”.³⁴

როგორც ეროვნული კანონმდებლობანი, ისე საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები ავალდებულებს გარანტს, საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტის შემთხვევაში აცნობოს პრინციპალს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ასევე ემიტენტს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს პრინციპალს.

³³ 1997წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 889-ე მუხლი

³⁴ შენგელია, რომანი, და სხვები, 2001, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი 2, თბილისი, გვ. 220.

თავი II. საბანკო გარანტიის შესრულების აუცილებელი წინამძღვრები

“საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში”³⁵ “საკასაციო პალატა შეეხო საკითხს საბანკო გარანტიის არსის, იურიდიული ბუნებისა და ზოგადად, სახელშეკრულებო სამართალში, მისი როლის შესახებ. პალატის განმარტებით, საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულება), განაპირობებდა მისი არააქცესორული ბუნება. თავად საბანკო გარანტია წარმოადგენდა დამოუკიდებელ ვალდებულებას”.³⁶ “პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ იწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას, ამიტომაც, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები. მოხმობილ საქმეში, გარანტი ბენეფიციარის წინაშე კისრულობდა უპირობო ვალდებულებას „ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღების მომენტიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში“ გადაეხადა გარანტიებით გათვალისწინებული თანხა”.³⁷

“საქმის მასალებით დადასტურებული იყო, რომ ბენეფიციარმა გარანტიების მოქმედების ვადაში წარუდგინა გარანტს წერილობითი მოთხოვნა და პრინციპალის მიერ ნარდობის ხელშეკრულებიდან”³⁸ – “სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების შეუსრულებლობის დარღვევის გამო

³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი.

³⁶ სსკ-ის ის 881-ე მუხლი

³⁷ ვრცლად: გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატა, რედ. თოდუა მ., თბ., 2017, გვ. 81-82

³⁸ ძირითადი ვალდებულება - სსკ-ის 629.1

მოითხოვა საგარანტიო თანხების ანაზღაურება”³⁹, “რითაც შეასრულა გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულება”.⁴⁰ რაც შეეხება ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების აუცილებელ წარდგენას, ასეთ პირობას გარანტია არ ითვალისწინებდა. მხოლოდ მათი არსებობის შემთხვევაში, წარმოეშობოდა ბენეფიციარს დოკუმენტების დართვის ვალდებულება. “სსკ-ის 887-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, გარანტი არათუ მოცემულ შემთხვევაში, არამედ მაშინაც კი არის ვალდებული შეასრულოს ბენეფიციარის მოთხოვნა, როდესაც მისთვის ცნობილია, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია. მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმოწერა მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას.

აღნიშნული

სამართლებრივი საფუძვლით არ იქნა გაზიარებული ბანკის საკასაციო პრეტენზია გარანტის დაკმაყოფილების წანამძღვრებად ვალდებულების დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და დარღვევის ხასიათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შესახებ. სხვა

სამართალურთიერთობაში გამოყენებული საბანკო გარანტია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქონლის მიწოდების ვალდებულებას უზრუნველყოფად”.⁴¹ „ვალდებულების დარღვევისა და გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, პრინციპალმა სარჩელი აღძრა ბენეფიციარის მიმართ და გარანტის მიერ ანაზღაურებული თანხის,

³⁹ სსკ-ის 879-ე მუხლი

⁴⁰ სსკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-871-833-2014, 28 სექტემბერი, 2015 წელი.

როგორც უსაფუძვლოდ მიღებულის, უკან დაბრუნება მოითხოვა“. ⁴² “ამ სამართალურთიერთობაში, პრინციპალის მიერ საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემდგომ, მხარეები შეთანხმდნენ უკვე კორექტირებული რაოდენობის საქონლის მიწოდებასა და ახალ ვადებზე. იმავდროულად, ყოველგვარი ექვის თავიდან აცილების მიზნით, მხარეებმა დააფიქსირეს, რომ წინამდებარე დანართის შესაბამისად მიწოდების/მიღების ვადებსა და პირობებში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, მყიდველი არ კარგავდა უფლებას წინამდებარე დანართის ძალაში შესვლამდე წარმოქმნილ მოთხოვნებზე (მათ შორის, ზიანის/ზარალის მოთხოვნაზე). სასამართლომ მიიჩნია, რომ პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, თავისთავად საკმარისი საფუძველი იყო გარანტიის ამოქმედებისათვის. ის გარემოება, რომ ბენეფიციარმა საერთოდ უარი არ თქვა ხელშეკრულებაზე და მცირე რაოდენობის საქონლის მიწოდებაზე განსაზღვრა ახალი ვადები, არ ცვლიდა უკვე დარღვეული ვალდებულებების სამართლებრივ შედეგებს. დადგინდა იქნა, რომ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში ბენეფიციარმა მიმართა გარანტს და მოითხოვა საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდა. ამდენად, სახეზე იყო უზრუნველყოფილი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, რაც ქმნიდა საფუძველს, ბენეფიციარს მოთხოვნა წარედგინა გარანტისათვის სსკ-ის 881-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველით. იმავდროულად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის არ არსებობდა სსკ-ის 385-ე, 976-ე და 991-ე მუხლებით გათვალისწინებული აუცილებელი წანამდგვრები.

სამართლებრივი დასკვნა: კერძოსამართლებრივი ურთიერთობების თანმდევი რისკების შესამცირებლად გამოიყენება დამოუკიდებელი გარანტიების მდგრადი ინსტიტუტები, როგორცაა: ბანკები და სადაზღვევო კომპანიები.

⁴² დამფუძნებელი ნორმები: სსკ-ის 976-ე და 879-ე და 881-ე მუხლები.

საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით - არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ პრინციპალის მიერ ნაკისრი ძირითადი ვალდებულების (ხელშეკრულება) გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი“.⁴³

მაშასადამე, მისი გაცემის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის, აუცილებელია, რომ საბანკო გარანტია აკმაყოფილებდეს ორ მნიშვნელოვან წინაპირობას, კერძოდ:

1. ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს;

2. მისი წარდგენა უნდა მოხდეს მხოლოდ გარანტიით განსაზღვრულ ვადაში (სსკ-ის 887-ე მუხლის პირველ ნაწილი) ანუ ფორმალური სახით (დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენა ე.წ. დოკუმენტური ოპერაცია), ხოლო იმ გარემოების კვლევა რა სახით დაირღვა ვალდებულება და დასტურდება თუ არა იგი, არამართლზომიერია.

⁴³ გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატა, რედ. თოდუა მ., თბ., 2017, გვ. 81-82

თავი III. საბანკო გარანტიებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

„სასამართლო პრაქტიკა საბანკო გარანტიასთან დაკავშირებულ დავებზე საკმაოდ მცირეა. შევეცდებით წარმოვადგინოთ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება ჩვენ მიერ წარმოდგენილ კვლევას, რომელიც მნიშვნელოვანია პრაქტიკისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ განხილული იქნა საბანკო გარანტიით დადგენილი საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების შესახებ დავა, საკასაციო საჩივრის ფარგლებში“.⁴⁴

„დავის საგანი იყო გადახდის მოთხოვნა მოქმედების ვადა ამოწურული საბანკო გარანტიის მიხედვით. ამ გადაწყვეტილებაში რამდენიმე საინტერესო პრაქტიკული საკითხია დადგენილი“.⁴⁵

„პირველი: საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით ორი დოკუმენტი იქმნება. ერთი ხელშეკრულება პრინციპალსა და გარანტს შორის, ხოლო მეორე საბანკო გარანტიის სახით ბენეფიციარისთვის. პირველი ორმხრივი სასყიდლიანი ხელშეკრულებაა რომლის საფუძველზეც გარანტი გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ კისრულობს გასცეს საბანკო გარანტია ბენეფიციარისთვის და მეორე თავად საბანკო გარანტია, თუ გარანტი დააკმაყოფილებს პრინციპალის თხოვნას, მაშინ იგი გასცემს საბანკო გარანტიას, რომელიც ცალმხრივი ხელშეკრულებაა და რომელიც ვალდებულებას წარმოშობს ბენეფიციარის წინაშე. მეორე: საკასაციო სასამართლო უთითებს,

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N ას-562-871-09

⁴⁵ შენგელია, რომანი და სხვები, 2001, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი 2, თბილისი, გვ, 228.

რომ სამოქალაქო კოდექსი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით. ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი.

მესამე: მხარეები თავისუფალნი არიან საბანკო გარანტიის მოქმედების განსაზღვრის წესში, რაც შეიძლება დამოკიდებული იყოს როგორც კალენდარულ თარიღზე, რაიმე პირობაზე, რაიმე მოვლენის დადგომაზე, ასევე რაიმე მოქმედების შესრულებაზე⁴⁶.

აღნიშნული გადაწყვეტილება საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასების ნაწილში. სადაც, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა: „სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ასევე საბანკო გარანტიის ამონაწერის გასაცემ ტექსტზე და განსაზღვრეს მისი სამართლებრივი ბუნება. კერძოდ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე ბენეფიციარისთვის წარსადგენად გაიცა საბანკო გარანტიის ამონაწერი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და მას დამოუკიდებელი იურდიული ძალა არ გააჩნია, სააპელაციო პალატა იზიარებს საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ საბანკო ამონაწერი დამოუკიდებელ დოკუმენტად რაიმე ვალდებულების წარმოშობის ან დადგენის სამართლებრივ საფუძველად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან ის, ფაქტობრივად, შეიცავს მოკლე აღწერას ძირითადი

⁴⁶ საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილებათა კრებული. (7; 2009წ. 51-57) სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-562-871-09 #ას-562-871-09 ბიჯისი; 20.10.2009წ.; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf>

ხელშეკრულების არსებით პირობებზე და თავად ხელშეკრულებითვე განსაზღვრული, რომ ამონაწერი ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილია და დამოუკიდებელი ძალა არ გააჩნია. ამდენად, მათი შინაარსის განმარტება უნდა მოხდეს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ფარგლებში. სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის ეს დანაწესი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის საიმედოობას და იმავდროულად, კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ საბანკო გარანტიით გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში. ამასთან, კრედიტორის (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტიის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა“. ⁴⁷ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დაუკარგეს დამოუკიდებელი გარიგების სტატუსი საბანკო გარანტიას, უწოდეს რა “საბანკო გარანტიის ამონაწერი”, ეს დამოუკიდებელი გარიგება განიხილეს, როგორც საბანკო გარანტიით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი და არ მიიჩნიეს ვალდებულების წარმოშობის ან ამგვარი ვალდებულების დადგენის სამართლებრივ საფუძვლად. საკასაციო ინსტანციამ უარყო მათი პოზიცია და სწორად მიუთითა აღნიშნულის არამართებულობის შესახებ. აღუდგინა საბანკო გარანტიას დამოუკიდებელი გარიგების სტატუსი, რითაც გასწორდა პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოების არასწორი შეფასება საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობის ნაწილში. მაგრამ აქ დადგა საკითხი, როდის შედის ძალაში

⁴⁷ საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილებათა კრებული. (7; 2009წ. 51-57) სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-562-871-09 #ას-562-871-09 ბიჯისი; 20.10.2009წ.; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf>

გარანტია? სამოქალაქო კოდექსი და URDG N 758 უთითებს, რომ ის ძალაშია მისი გაცემის/გაგზავნის თარიღიდან და არ უნდა ელოდოს ბენეფიციარის მიერ მის მიღებას ძალაში შესასვლელად, ამდენად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილი მართლზომიერი იქნებოდა მაშინ, თუ საბანკო გარანტიის ტექსტში ეწერებოდა, რომ საბანკო გარანტია ძალაში შედიოდა ბენეფიციარის მიერ მისი მიღების წერილობით დადასტურებისთანავე. სხვაგვარად, გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 884-ე მუხლი.

„ერთ-ერთი საქმე“⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ განხილული იქნა, რომლის დავის საგანს წარმოადგენდა ბენეფიციარის კრედიტორთა სიაში აღრიცხვა და თანხის დაკისრება. საკითხი, ეხებოდა საბანკო გარანტიის გაცემის შემდეგ გარანტისათვის საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევის გამო საგარანტიო ვალდებულების ვადამდე შეწყვეტის საკითხს. გარანტს ორი საბანკო გარანტიის გაცემის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლიცენზია ჩამოართვა. დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველმა, ბენეფიციარი/მოსარჩელე კრედიტორთა სიაში სწორედ იმ მოტივით არ შეიყვანა, რომ ლიცენზიის გაუქმებამ ავტომატურად შეწყვიტა საბანკო გარანტიის მოქმედება ვადამდე. გაკოტრების მმართველი ასაბუთებდა, რომ „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის» მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებისას სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედება წყდება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან,

⁴⁸ საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილებათა კრებული. (7; 2009წ. 51-57) სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-562-871-09 #ას-562-871-09 ბიჯისი; 20.10.2009წ.; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf>

შესაბამისად, ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ავტომატურად შეწყდა საბანკო გარანტიის მოქმედება. ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა გარანტიის მიმართ წარდგენილია ეროვნული ბანკის ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ, როცა საბანკო გარანტიის მოქმედება შეწყვეტილი იყო. ბენეფიციარს მოთხოვნა გარანტს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში უნდა წარედგინა, რაც არ მომხდარა და ამ ვალდებულების დარღვევამ მოსარჩელის კრედიტორად აღურიცხაობა გამოიწვია. „პირველი ინსტანციის სასამართლომ ბენეფიციარის სარჩელი არ დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და საქმე უზენაესმა სასამართლომ განიხილა. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მზღვეველს ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაშიც უნარჩუნდება ვალდებულება ადრე დადებული ხელშეკრულებები შეასრულოს ამ ხელშეკრულებების ვადის გასვლამდე, როგორც ამას ადგენს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 271-ე მუხლის მე-3 პუნქტი. შესაბამისად გაკოტრების საქმისწარმოების გახსნა ვერ შეწყვეტს საბანკო გარანტიის მოქმედებას, რადგან სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარანტიის შეწყვეტის საფუძვლები სახეზე არ არის. მან აღნიშნა, რომ დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის 271-ე მუხლის მე-3 ნაწილი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება და „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის» მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი სისტემურად უნდა განიმარტოს და არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. თანაც ბენეფიციარმა, გარანტიის მოქმედების ვადაში წარადგინა მოთხოვნა და შესაბამისად ის უნდა აღრიცხულიყო როგორც კრედიტორი. ეს გადაწყვეტილება, უდავოდ, არსებითია და მნიშვნელოვანი პრაქტიკა დაამკვიდრა“.⁴⁹

⁴⁹ საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს

ასევე, საყურადსაღებოა საქმე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, „სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განიხილა“.⁵⁰ დავის საგანი იყო საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინება. სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება დაიდო, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია სადაზღვევო კომპანიამ გასცა. გარკვეული დროის შემდეგ ძირითადი ხელშეკრულება შეწყდა მხარეთა შეთანხმებით, რადგან მასალებისა და საწვავის გაძვირების გამო პრინციპალი ძირითად ვალდებულებას ვეღარ ასრულებდა. ბენეფიციარმა გარანტს მოსთხოვა გარანტიის თანხის გადახდა, რაზეც უარი მიიღო და სასამართლოში სარჩელი წარადგინა. გარანტი თავის მოსაზრებას ასაბუთებდა იმით, რომ ძირითადი ვალდებულება შეწყდა და გარანტიის თანხის გადახდა ბენეფიციარისთვის მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრება იქნებოდა გარანტის ხარჯზე.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საბანკო გარანტიის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რაც მას გამოარჩევს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან, არის საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობა ძირითადი ვალდებულებისგან. საბანკო გარანტია ეფუძნება არა მხარეთა შეთანხმებას (ხელშეკრულებას), არამედ მისი გამცემი პირის (გარანტის) ცალმხრივ და უპირობო ვალდებულებას. საბანკო გარანტიის ზემოაღნიშნული თავისებურება ასახულია სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლში, რომლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის

გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1303-1229-2012 15.10.2012წ; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf> (08.07.2015).

⁵⁰ საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N ას-781-996-08 17.03.2009წ; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.07.2015).

დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. ბენეფიციარის წინაშე გარანტის ვალდებულების ძირითადი ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობის პრინციპის გამოხატულება იმაში მდგომარეობს, რომ ბენეფიციარისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად კანონმდებელი ორ ძირითად შემთხვევას განიხილავს, კერძოდ: თუ ბენეფიციარის მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლი). დასახელებულ პირობათაგან არც ერთს არა აქვს კავშირი ძირითად ვალდებულებასთან. რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორებიცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება. სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილით უთითებს ბენეფიციარის მოთხოვნის წარდგენის ფორმაზე, კერძოდ, რომ საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა ფულადი თანხის გადახდის შესახებ უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. აღნიშნული ნორმა ავსებს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის

პირველი ნაწილის დანაწესს მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტების გარანტიის პირობებისადმი შესაბამისობის შესახებ. ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა არ იწვევს გარანტიის პასუხისმგებლობის შეწყვეტას ბენეფიციარის მიმართ. ძირითადი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევა საბანკო გარანტიის ძალადაკარგულად ცნობას არ ითვალისწინებს.

„უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა ინიცირებული იყო პრინციპალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარით, რამაც საგარანტიო შემთხვევა გამოიწვია და გარანტს გადახდის ვალდებულება დაუდგა. უზენაესმა სასამართლომ მცდარად ჩათვალა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ წერილზე (მოთხოვნაზე) სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტაციის დაურთველობა განაპირობებდა საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინების უსაფუძვლობას. მაგრამ საბანკო გარანტია უპირობო იყო და შესაბამისად, უნდა ანაზღაურებულიყო საგარანტიო თანხა ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე“.⁵¹

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატამ განიხილა საქმე“.⁵² აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებით დადგენილია პრაქტიკა შემდეგზე: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის თანახმად, გარანტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარი განაცხადოს თანხის ანაზღაურებაზე, თუ ბენეფიციარის მოთხოვნა არ

⁵¹ საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N ას-781-996-08 17.03.2009წ.<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.07.2015).

⁵² საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N 'ას-786-1073-09 27.09.2010წ.; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20119.pdf> (08.07.2015).

შეესაბამება გარანტიის პირობებს და წარდგენილია საგარანტიო ვადის დამთავრების შემდეგ.

„ამ საქმის განხილვისას საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა მტკიცებულებები შეაფასეს ცალმხრივად და არასრულყოფილად. სააპელაციო პალატა ყურადღებას არ ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ ერთი და იმავე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, ერთი და იმავე დღეს, ერთი და იმავე გარანტის მიერ ორი საბანკო გარანტია იყო გაცემული. ერთი საავანსო გარანტია, მეორე კი, როგორც ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა. სააპელაციო სასამართლომ მექანიკურად შეკრიბა საგარანტიო უზრუნველყოფით გათვალისწინებული თანხები და დააკისრა მოპასუხეს ისე, რომ არ გაურკვევია, თუ კონკრეტულად რომელი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფადაა გაცემული მითითებული გარანტიები, ან რატომ გაიცა ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. არ იყო გარკვეული, თუ რამ განაპირობა ერთი ხელშეკრულების შესასრულებლად ორი საბანკო გარანტიის გაცემა და რატომ არ გაიცა მთლიან თანხაზე ერთი საბანკო გარანტია. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში მითითებული გარიგებები სასამართლომ მტკიცებულებად გამოიყენა ყოველგვარი განსჯის გარეშე, რამაც გადაწყვეტილების დასაბუთებას არასრული ხასიათი მისცა. ასევე აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაირკვევა, თუ რა ვალდებულება იკისრა გარანტმა ბენეფიციარის წინაშე და რა იგულისხმებოდა საავანსო, აგრეთვე, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაში და რომელი ვალდებულების დარღვევა წარმოადგენდა გარანტის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს. აქვე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბენეფიციარის მიერ წარდგენილ

წერილზე (მოთხოვნაზე) სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტაციის დაურთველობა განაპირობებდა საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდევინების უსაფუძვლობას, განმარტა, რომ წარდგენილი გარანტია უპირობო იყო და შესაბამისად, უნდა ანაზღაურებულიყო პრინციპალის მიერ ძირითადი ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე. შესაბამისად, საკასაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილვისთვის დაუბრუნა სააპელაციო ინსტანციას⁵³.

⁵³ საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N 'ას-786-1073-09 27.09.2010წ.; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20119.pdf> (08.07.2015).

თავი IV. საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული პრობლემები

ჩვენ წინა თავებში წარმოვადგინეთ საბანკო გარანტიების სამართლებრივი ანალიზი, რაშიც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო კვლევები, რომლებიც არსებითად იხილავენ საბანკო გარანტიიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების საფუძვლებს, არსს და სამართლებრივ შედეგებს.

ქართველი მეცნიერების მიზანს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის არსებული ნორმების ირგვლივ მსჯელობა, რომელიც თავის მხრივ შემეცნებით და მიმოხილვით ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, ქართველ მეცნიერთა ზოგიერთი მოსაზრება ართულებს საბანკო გარანტიის არსის გაგებას, მის გაცემასა და შემდგომ მხარდაჭერას.

მაგ. მითითებულია, რომ „საბანკო გარანტია ნებისმიერი სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა“⁵⁴, რაც ასე არ არის, საბანკო გარანტია მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა. გარანტიის ემიტენტები, ვერ დაასრულებენ დაუმთავრებელ მშენებლობებს, ვერ უზრუნველყოფენ საქონლის მიწოდებას პრინციპალის ნაცვლად და ა.შ., საამისოდ ისინი სპეციალური კანონებით არიან შეზღუდულები და მათი უფლება მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა საბანკო გარანტიის მეშვეობით.

მეორე მოსაზრება, რომელიც სადავოა, ასეთია: „რაკი ბენეფიციარი საბანკო გარანტიის გაცემის წინარე პროცესში არ მონაწილეობს, ამიტომაცაა, რომ კანონი

⁵⁴ შენგელია, რომანი. შენგელია, ეკატერინე. 2014. საბანკო სამართლის საფუძვლები. თბილისი, გვ. 441

ამ უკანასკნელის მიერ გარანტიის მიღებას არ მოითხოვს⁵⁵. რომან და ეკატერინე შენგელიებს ალბათ ბენეფიციარის აქცეპტი აქვთ მხედველობაში ანუ ბენეფიციარის დასტური, რომ ჩაიბარა გარანტია. მიუხედავად იმისა, რომ ის გარანტიის გაცემის წინარე პროცედურაში არ მონაწილეობს, თუ გარანტია ვერ მიიღო, სხვაგვარად ვერ განახორციელებს გარანტიიდან წარმოშობილ თავის უფლებას. ასევე, თუ ბენეფიციარი უკან არ დააბრუნებს საბანკო გარანტიას და მხოლოდ წერილობით უარს იტყვის გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე⁵⁶, შესაბამისობაში არ იქნება კანონთან და სადავო გახდება, რადგან მხოლოდ გარანტიის დედნის დაბრუნება არ ნიშნავს საბანკო გარანტიის მოქმედება შეწყდა. უფრო ძლიერი საფუძველია ბენეფიციარის წერილობითი უარი გარანტიის გამოყენებაზე, ვიდრე საბანკო გარანტიის დაბრუნება, რადგან ნება წერილობითაა გამოხატული და შეწყვეტას მყარი საფუძველი აქვს. ასევე გადასახედია მოსაზრება, რომ საბანკო გარანტიაში კონკრეტულად მიეთითება გარანტის უფლება/მოვალეობები როგორც პრინციპალის, ისე ბენეფიციარის მიმართ⁵⁷, გარანტიაში მხოლოდ ბენეფიციარის მიმართ მიეთითება გარანტის მოვალეობები. პრინციპალთან მიმართებით მხოლოდ დავალება და ძირითადი ხელშეკრულების მახასიათებლები აღიწერება, ისიც იდენტიფიკაციის მიზნით და ვალდებულებითი დატვირთვა პრინციპალის მიმართ არ აქვს. მოსაზრება იმის შესახებ, რომ „თუ გარანტმა განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ ვალდებულება პრინციპალთან ერთად შეასრულა, მაშინ გარანტს შეუძლია ორივე შესრულების უკან დაბრუნება მოითხოვოს“⁵⁸, საბანკო გარანტიას უკარგავს არსს. ასეთ ვითარებაში, გარანტის მიერ გადახდილი თანხა

⁵⁵ შენგელია, რომანი. შენგელია, ეკატერინე. 2014. საბანკო სამართლის საფუძველები. თბილისი, გვ. 442

⁵⁶ სკ 889; I „გ“

⁵⁷ შენგელია, რომანი. შენგელია, ეკატერინე. 2014. საბანკო სამართლის საფუძველები. თბილისი, გვ. 443

⁵⁸ იქვე. გვ. 444-449

ექვემდებარება დაბრუნებას. ამასთან, ბენეფიციარმა წერილობითი უარით უნდა მიმართოს გარანტს იმ უფლებების გამოყენებაზე, რაც საბანკო გარანტიის ძალით შეიძინა, ხოლო პრინციპალის გადახდა ხელუხლებლად უნდა დარჩეს. გარანტიის შეწყვეტასთან დაკავშირებით ავტორებს არსად აქვთ მითითებული, - რა უნდა დაუბრუნოს გარანტს ბენეფიციარმა, უფლება - რაც საბანკო გარანტიის ძალით მიიღო, საბანკო გარანტიის დედანი თუ ორივე ერთად. ანუ კანონის ხარვეზზე ყურადღება არ გამახვილებულა. ავტორები ასევე უთითებენ, რომ „საბანკო გარანტიის თეორიული საკითხები ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდაა დამუშავებული“,⁵⁹. რომ გარანტიის უკან გამოთხოვის პირობებზე გარანტი და პრინციპალი წინასწარ უნდა შეთანხმდნენ და მაშინ გამოთხოვა შესაძლებელი ხდება. ჩვენი აზრით კი, გამოთხოვის პირობები აუცილებლად უნდა მიეთითოს საბანკო გარანტიის ტექსტში და ბენეფიციარმა უნდა იცოდეს აღნიშნულის თაობაზე, მხოლოდ პრინციპალის და გარანტის შეთანხმება არასაკმარისია. ასევე საკამათოა მოსაზრება, რომ: „საგარანტიო წერილის გაცემა არ არის საკმარისი დასახული სამართლებრივი შედეგის დასადგომად, თუკი ბენეფიციარმა არ მიიღო იგი“.⁶⁰ ამ საკითხთან დაკავშირებით ნინო ჭიპაშვილის სამეცნიერო ნაშრომში თავის აზრს აღნიშნავს, რომ „სამართლებრივი შედეგის დასადგომად საბანკო გარანტიის გაცემა სრულიად საკმარისია გარანტის ვალდებულების წარმოშობის ნაწილში, მაგრამ რეალიზაციის შედეგი შეიძლება არ დადგეს, თუ ბენეფიციარის ხელში არ მოხვდება, ანუ მიზანი არ შესრულდეს, პრინციპალმა ზედმეტი ხარჯი გასწიოს, რაც უკან არ დაუბრუნდება, რადგან გარანტს შესრულებული ექნება თავისი ვალდებულება საბანკო გარანტიის გაცემით. ამ ურთიერთობაში სწორედ

⁵⁹ შენგელია, რომანი. შენგელია, ეკატერინე. 2014. საბანკო სამართლის საფუძვლები. თბილისი, გვ. 440

⁶⁰ ჭანტურია ლ. 2012. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი. თბილისი, გვ. 215

პრინციპალია ყველაზე მეტად დაინტერესებული პირი, რათა საბანკო გარანტია მოხვდეს ბენეფიციართან დროულად. სწორედ ამის გამოა, რომ რიგ შემთხვევებში გარანტიას პრინციპალი წარადგენს ბენეფიციართან. საერთაშორისო უნიფიცირებული წესებით, კონვენციით და სამოქალაქო კოდექსით ცხადია, რომ გარანტი, გარანტიის გაცემის მომენტიდან უკვე შებოჭილია საგარანტიო ვალდებულებით მანამ, სანამ ბენეფიციარის უარი ან გადახდაზე მოთხოვნა არ მიუვა, ან ლოკალურ გარანტიას არ გაუვა ვადა. ანუ საბანკო გარანტიის გაცემა უკვე ის სამართლებრივი შედეგია გარანტისათვის, რომელიც ვალდებულებას წარმოშობს. თუ ავტორს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ბენეფიციარამდე ვერ მიაღწია საბანკო გარანტიამ, ეს ფაქტი მაინც არ ათავისუფლებს გარანტს ვალდებულებისგან. ხოლო თუ ტექსტი არ იქნა მოწონებული, რის გამოც გარანტია დაბრუნდა (რასაც ბენეფიციარის წერილი უნდა ახლდეს) და ბენეფიციარის სასურველი ტექსტით ხელახლა გაიცა საგარანტიო წერილი, - ეს უკვე ახალი გარანტიაა და ბენეფიციარის ნებაც სახეზეა“.⁶¹

ბენეფიციარის ინფორმირებულობა სათანადოდ შესრულებული საგარანტიო წერილით ხდება და ეს საკმარისია იმისთვის, რომ საბანკო გარანტიამ თავისი ფუნქცია შეასრულოს. გარანტიის ნამდვილობისთვის სათანადოდ შესრულებული და ფორმის დაცვით მისი გაცემა სრულიად საკმარისია. ის გარემოება, რომ საბანკო გარანტია სისტემურად სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო სამართლის ნაწილშია მოთავსებული, ორმხრივ ხელშეკრულებად საბანკო გარანტიას ვერ გადააქცევს. ავტორი მართალია იმაშიც, რომ „სამოქალაქო კოდექსი არ უთითებს მხოლოდ გარანტის ხელმოწერაა

⁶¹ ჭიკაშვილი, ნინო. 2015, საბანკო საქართველოს კანონმდენლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების შესახებ, (დისერტაცია), გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი. გვ. 104

საკმარისი თუ ბენეფიციარის ხელმოწერაც საჭიროა საბანკო გარანტიაზე. “მეტიც, აღნიშნულზე არც საერთაშორისო უნიფიცირებული წესები და კონვენცია უთითებს, მაგრამ ეს ნორმატიული აქტები არც იმას უთითებენ, რომ საბანკო გარანტია ორმხრივი გარიგებაა”⁶²

საერთაშორისო პრაქტიკით და საქართველოში დამკვიდრებული საბანკო/სასამართლო პრაქტიკით, საბანკო გარანტია ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც არ ითხოვს ბენეფიციარის დადასტურებულ, ხელმოწერილ აქცეპტს. ასე რომ არ იყოს, მაშინ ყველა გარანტი ჩაწერდა საბანკო გარანტიაში რომ ძალაში შედის მაშინ, როცა ბენეფიციარი მასზე თანხმობას ან მის მიღებას (ხელმოწერით) დაადასტურებს. საბანკო გარანტიის მთავარი ღირებულება მისი გაცემისა და მოქმედების სისწრაფეა. ორმხრივობის შემთხვევაში მიმზიდველობას კარგავს და ჩვეულებრივ ხელშეკრულებას ემსგავსება. დღესდღეობით, ყველა იმ ძირითად ვალდებულებაში, სადაც ბენეფიციარი საბანკო გარანტიის გამოყენებას აპირებს, პირდაპირ წერია, რომ საბანკო გარანტიის წარდგინება უნდა მოხდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად და მხოლოდ საბანკო გარანტიის მიღების შემდეგ იწყებს ბენეფიციარი პრინციპალის წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულებას. ასეთი პრაქტიკა უჩვენებს, რომ გაცემული საბანკო გარანტიები თითქმის ყველა შემთხვევაში აღწევს ბენეფიციარამდე და რაიმე სხვა სახის დასტური საჭიროებას არ წარმოადგენს. ასევე, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის ელექტრონულად წარდგენის დაშვება, თავისთავად არ გულისხმობს საბანკო გარანტიის ელექტრონულად გაცემის მართლზომიერებას, რადგან კანონი აღნიშნულს არ ითვალისწინებს.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „სამოქალაქო კოდექსის 885-ე

⁶² ჭიპაშვილი, ნინო. 2015, საბანკო საქართველოს კანონმდენლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების შესახებ, (დისერტაცია), გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი. გვ. 105

მუხლს 11 ქვეპუნქტი დაემატა, რომელიც, უნდა შეხებოდა ბენეფიციარის ელექტრონული ფორმატით (და არა ქაღალდის მატარებელზე შედგენილ) ბანკისათვის წარდგენილ მოთხოვნას, გარანტიის მიხედვით გადახდის შესახებ და არა ეგრეთ წოდებულ „ელექტრონულ გარანტიას“. კანონმდებელი გულისხმობდა, რომ ელექტრონულად წარდგენილი ბენეფიციარის მოთხოვნის ნამდვილობისათვის საჭირო იყო საბანკო გარანტიის გაცემის ფაქტი როგორმე აღრიცხულიყო საჯარო რეესტრში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ელექტრონული მოთხოვნების სისტემური აღრიცხვა და კონტროლი. საკითხი ეხებოდა კონკრეტულად სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ტენდერებისთვის განკუთვნილ საბანკო გარანტიებს. აღნიშნულს მოწმობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, (მუხ. 16) რომელიც ახსენებს ელექტრონულ საბანკო გარანტიას, მაგრამ სამოქალაქო კოდექსში ეს მხოლოდ გარანტიისათვის ელექტრონულად წარმოდგენილ გადახდის მოთხოვნის ფორმატზე აისახა“. ⁶³ „საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.2011 წლის N 21 ბრძანების მე-7 მუხლში შეტანილი ცვლილებით“⁶⁴, პირდაპირ დაიშვა ელექტრონული სახის საბანკო გარანტიის არსებობის შესაძლებლობა სააუქციონო გარანტიებისთვის, რაც ნიშნავს, რომ

⁶³ საქართველო. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. 2011. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ.“ (9, 07.04.2011). სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. [https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1279790\(08.05.2015\);](https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1279790(08.05.2015);) ციტირებულია: ჭიპაშვილი, ნინო. 2015, საბანკო საქართველოს კანონმდენლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების შესახებ, (დისერტაცია), გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი. გვ. 106

⁶⁴ საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. 2011. მინისტრის ბრძანება ცვლილებების შეტანის თაობაზე „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის N 21 ბრძანებაში. (148, 21.11.2011). სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.“ ვებგვერდი 111121011, 21/11/2011წ. www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1512638 (05.06.2015);

საბანკო გარანტია შეიძლება აღარ იქნეს გაცემული ქალაქის მატარებელზე ბენეფიციარისთვის წარსადგენად და შეიძლება ელექტრონულადაც გაიცეს. აღნიშნულის შესახებ პირდაპირი ჩანაწერი სამოქალაქო კოდექსში არ არის, მაგრამ რაკი არც ამკრძალავი ნორმა არსებობს. ფაქტია, რომ სს ლიბერთი ბანკი ელექტრონულ გარანტიებს გაცემს. „ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ელექტრონული გარანტიის ლეგალიზაცია კანონის დონეზე უნდა მოხდეს. საბანკო სექტორი ფრთხილად მოეკიდა ამ საკანონმდებლო ცვლილებებს, რადგან სამოქალაქო კოდექსს საბანკო გარანტიის ელექტრონული ფორმით არსებობა და მისი იურდიული ძალა არ დაუდგენია. მან დაადგინა მხოლოდ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა გარანტთან, ისიც იმ შემთხვევაში, თუ გარანტი წინასწარ წერილობით შეუთანხმდება ბენეფიციარს მოთხოვნის ელექტრონული ფორმით წარდგენაზე. ასეთი მიდგომა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საჯარო რეესტრის ელექტრონული საბანკო გარანტიის კომპიუტერულ პროგრამაში შეიტანება მწირი ინფორმაცია, კერძოდ, საგარანტიო თანხის მოცულობა, პრინციპალი და ბენეფიციარი, ხოლო გარანტია, თავის მხრივ, შესაძლოა სხვა პირობებსაც შეიცავდეს“.⁶⁵

„ქართველი მეცნიერები, ისევე, როგორც უცხოელი მეცნიერები, მხოლოდ საბანკო გარანტიების რამდენიმე სახის ჩამონათვალით იფარგლებიან და მათ კლასიფიკაციას ტიპების მიხედვით არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებენ. მაგრამ ჩვენი აზრით, საბანკო გარანტიების მომსახურების და შემდგომი მხარდაჭერისას კლასიფიკაცია სწორედ ტიპების და სახეების მიხედვით უნდა მოხდეს, რაც სისტემატიზაციას განაპირობებს, დროის ოპტიმიზაციისთვის ძალიან

⁶⁵ ჭიკაშვილი, ნინო. 2015, საბანკო საქართველოს კანონმდენლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების შესახებ, (დისერტაცია), გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი. გვ. 107

მნიშვნელოვანია და პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ისინი დეტალურად აღრიცხება ბანკების საბანკო პროგრამებში „45“ კლასის გარესაბალანსო ანგარიშებზე, ბუღალტრული აღრიცხვის და საკრედიტო ადმინისტრირების დეპარტამენტებში და მათი საერთო რაოდენობა საქართველოს მასშტაბით ძალიან შთამბეჭდავია“.

დასკვნა

საბანკო გარანტიის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენების პოპულარობა საქართველოსა და მსოფლიოში განაპირობა იმან, რომ იგი ფულადი ვალდებულების შესრულების ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი და სწრაფი საშუალებაა. საბანკო გარანტიის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობენ გარანტი - საბანკო გარანტიის გამცემი ფინანსური ინსტიტუტი, პრინციპალი - პირი, რომელმაც მიმართა გარანტს განაცხადით მისი ვალდებულების შესასრულებლად, ვთქვათ, სახელშეკრულებო პარტნიორის სასარგებლოდ საბანკო გარანტიის გაცემაზე და ბენეფიციარი - პირი, რომელიც წარმოადგენს პრინციპალის კრედიტორს.

საბანკო გარანტია მარტივი წერილობითი ფორმის მქონე დოკუმენტია. მას გასცემს ბანკი, სადაზღვევო კომპანია ან სხვა საკრედიტო დაწესებულება, ანუ ფინანსური ინსტიტუტები. ეს დოკუმენტი შეიცავს ფულის უპირობო გადახდის შესახებ წერილობით დათქმას, რომელსაც კისრულობს გარანტი (ბანკი, სადაზღვევო კომპანია) მისივე კლიენტის, ანუ პრინციპალის კრედიტორის წინაშე - პრინციპალის თხოვნით. დოკუმენტის გამოთხოვა არ ხდება გარანტის მიერ და ამ ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული იმ ხელშეკრულების ნამდვილობაზე, რომლის უზრუნველსაყოფადაც გარანტია გაიცა. საბანკო გარანტიაში ჩადებული დათქმა, აღსრულდება იმ პირის, თუნდაც დაუსაბუთებელი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომლის სასარგებლოდაც იგი გაიცა. საბანკო გარანტია „სწრაფი აღსრულების“ რეჟიმის მატარებელია, როგორც პრაქტიკა უჩვენებს, გადახდა ხდება არაუგვიანეს ხუთ დღეში გარანტისათვის წერილობითი მოთხოვნის წამოყენებიდან.

საბანკო გარანტია უზრუნველყოფის მყარი, საიმედო და „სწრაფად აღსრულებადი“ საშუალებაა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 880-ე

მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს „პრინციპალის მიერ ბენეფიციარის მიმართ თავისი მოვალეობის სათანადო შესრულებას“.

შეიძლება დავეთანხმოთ ზურაბ ჭეჭელაშვილის მოსაზრებას, რომელიც თავის სახელმძღვანელო წიგნში მოკლედ და ლაკონურად ჩამოაყალიბა და განმარტავს საბანკო გარანტიას როგორც ორ სხვადასხვა გარიგებას. კერძოდ იგი წერს რომ: „საბანკო გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვისას უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ორი გარიგება: საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება და თავად საბანკო გარანტია. საბანკო გარანტიას საბანკო გარანტიის ხელშეკრულება საფუძვლად უდევს, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა. საბანკო გარანტია გაიცემა საფინანსო ინსტიტუტის მიერ და მისი სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული არც ნებისმიერი სხვა პირის თანხმობაზე, არც იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როდესაც გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე და არც თავად საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ნამდვილობაზე.“

ამდენად, კვლევისას გამოიკვეთა, რომ სამართლებრივი ბუნებით საბანკო გარანტია არ არის აქცესორული, ანუ დამოკიდებული სხვა ვალდებულებაზე; იგი აბსტრაქტული გარიგებაა და არსებობს სამართლებრივი საფუძვლის - ცაუსა არსებობის მიუხედავად.

ნაშრომში გამოკვეთილადაა განხილული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ 890-ე მუხლი, რომელშიც გარანტსა და პრინციპალს შორის დადებულ შეთანხმებაზეა, რომლის შესასრულებლადაც გარანტია გაიცა. შეთანხმებაში ხდება გარანტიის რეგრესის უფლების გათვალისწინება პრინციპალის მიმართ, გარანტიის მიხედვით გადახდილ თანხაზე. რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ გარანტსა და პრინციპალს შორის წერილობითი ხელშეკრულება იდება და მისი ნაწილობრივი რეალიზაცია ხდება საბანკო

გარანტიის გაცემით, ამ ხელშეკრულებაში, ასევე განისაზღვრება გარანტიის თანხა, სასყიდლიანობა, გარანტიის ვადა, გარანტიის უზრუნველყოფა და რეგრესის წესი და უზრუნველყოფის სახე. საბანკო გარანტიით დადგენილი საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულების დაკისრების შესახებ დავა განიხილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ, საკასაციო საჩივრის ფარგლებში. გადაწყვეტილება საინტერესოდ იკვეთება, სწორედ ამ ორი ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შეფასება, თუმცა დავის საგანი გადახდის მოთხოვნა მოქმედების ვადაამოწურული იყო საბანკო გარანტიის მიხედვით.

სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის ეს დანაწესი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის საიმედოობას და იმავდროულად, კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ საბანკო გარანტიით გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში. ამასთან, კრედიტორის ანუ ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტიის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე.

საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მიუთითებს, რომ საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილეები არიან რა ბენეფიციარი, პრინციპალი და გარანტი, ამ ურთიერთობის ფარგლებში ფაქტობრივად ორი ხელშეკრულება იდება:

1. გარანტსა და პრინციპალს შორის საბანკო გარანტიის გაცემის თაობაზე ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 880-ე მუხლი);

2. თვით საბანკო გარანტია, რომელიც ცალმხრივი გარიგებაა და წარმოშობს გარანტის ცალმხრივ ვალდებულებას ბენეფიციარის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი).

ამავდროულად, საბანკო გარანტიის გაცემით გარანტსა და ბენეფიციარს შორის ურთიერთობა დამოუკიდებელია იმ ძირითადი ვალდებულებებისგანაც, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული (სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი). საბოლოოდ დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საბანკო გარანტიით მომსახურება თავისთავად კომერციული საქმიანობაა და მოგებაზეა გათვლილი. მისი განვითარება პირდაპირ გულისხმობს ბიზნესის ამ სეგმენტის განვითარებას, რაც დადებითი მოვლენაა ქვეყნის ეკონომიკისთვის, თანაც ეს ხელს უწყობს სასამართლოს სისტემის განტვირთვას. ამ ნაწილში დასკვნა შემდეგია: საბანკო გარანტია სწრაფი აღსრულების შესანიშნავი საშუალებაა, ამიტომ მისი მომწესრიგებელი ნორმების დაზუსტება და შევსება აამაღლებს მისდამი ნდობას და განავითარებს საგარანტიო ბიზნესს.

მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირება, რომ დღეს, კანონმდებლობაში არ არის ასახული გარანტის უფლებამოსილების ფარგლები, კერძოდ საჭიროა შეზღუდვა იმ ნაწილში, რომ გარანტს, არ უნდა ჰქონდეს უფლება წაუყენოს ბენეფიციარს შესაგებელი ან პრეტენზია მოთხოვნაზე, იმ ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე, რისი უზრუნველყოფაც საბანკო გარანტიაა. სასამართლო პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ განხილული იქნა დავები, სადაც გარანტები სწორედ ძირითადი ვალდებულების შემცველი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ამართლებენ უარს გადახდაზე. გარანტის უფლებამოსილებს ფარგლებს უკავშირდება შემდეგი საკითხი: გარანტი, ბენეფიციართან ურთიერთობაში, უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ გარემოებებით, რაც საბანკო გარანტიაშია მითითებული. ეს საკითხი დღეს მოუწესრიგებელია და გარანტები ბენეფიციარებს უთითებენ ისეთ გარემოებებზე, რომელიც საბანკო გარანტის პირობებით არ დათქმულა. ცხადია რომ კანონის ამჟამინდელი ნორმები პრაქტიკაში საკმარისი არ არის. ამიტომ მიზანშეწონილია კანონში მიეთითოს, რომ თავის შესაგებელში ბენეფიციარის წინააღმდეგ, გარანტი არ არის

უფლებამოსილი მიუთითოს იმ გარემოებებზე, რაც საბანკო გარანტიაში არ არის მითითებული. ამ საკითხის მოწესრიგება გასაგებს გახდის გარანტიებისთვის უფლებამოსილების ფარგლებს, რაც ასევე ნათელი იქნება ბენეფიციარისთვის, შესაბამისად ხელი შეეწყობა სასამართლო დავების შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. ავტ. კოლექტივი, 2001. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ. 4, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტ. 2, თბილისი
2. გაგუა, ილონა, 2017. ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატა, რედ. თოდუა მზია, თბილისი
3. თუმანიშვილი, გიორგი, 2012. ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
4. შენგელია, რომან. 2014. საბანკო სამართლის საფუძვლები: (სახელმძღვანელო), თბილისი
5. შენგელია, რომანი და სხვები, 2001, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი 2, თბილისი
6. ჭანტურია, ლადო. 2012. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი. თბილისი
7. ჭეჭელაშვილი, ზურაბ. 2011. ქართული ბიზნესსამართალი. თბილისი: საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.
8. ჭიპაშვილი, ნინო. 2015, საბანკო საქართველოს კანონმდენლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების შესახებ, (დისერტაცია), გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი
9. ხოტენაშვილი, პაატა, 2003. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთო საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-2/3

უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

10. Uniform Rules for Demand Guarantees, ICC pub. N 458, Article 3,
11. *Horn/Wymersee*, Bank-Guarantees, Stand-by Letters of Credit and Performance Bonds in International Trade – in: *Horn* (ed.), *The Law of International Trade and Finance*, Boston, 1989, 459-460, ასევე *Bertrams*, *Bank Guarantees in International Trade*, The Hague (Kluwer), 1996 (2. ed.), 3.
12. Олейник, 1997, Основы Банковского Права: Курс лекции. Москва.
13. Сергеев/Тольстой, 1997, Гражданское Право, часть 1, Москва, 583

ნორმატიული აქტები

14. საქართველოს კონსტიტუცია,
15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997
16. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, 1998

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი. <http://www.supremecourt.ge> (08.05.2019).
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-871-833-2014, 28 სექტემბერი, 2015 წელი. <http://www.supremecourt.ge> (08.05.2019).
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N ას-562-871-09; <http://www.supremecourt.ge> (08.05.2019).
20. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილებათა კრებული. (7; 2009წ. 51-57) სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების პალატის

- გადაწყვეტილება საქმეზე N ას-562-871-09 #ას-562-871-09 ბიჯისი; 20.10.2009წ.;
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.05.2019).
21. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილებათა კრებული. (7; 2009წ. 51-57) სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-562-871-09 #ას-562-871-09 ბიჯისი; 20.10.2009წ.;
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.05.2019).
22. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. გადაწყვეტილებათა კრებული. (7; 2009წ. 51-57) სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-562-871-09 #ას-562-871-09 ბიჯისი; 20.10.2009წ.;
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.05.2019).
23. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1303-1229-2012 15.10.2012წ.;
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf> (08.05.2019).
24. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N ას-781-996-08 17.03.2009წ.;
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.05.2019).
25. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N ას-781-996-08 17.03.2009წ.
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq-2009-07.pdf> (08.05.2019).
26. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N¹ას-786-1073-09 27.09.2010წ.;
<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20119.pdf> (08.05.2019).
27. საქართველო. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N¹ას-786-

1073-09 27.09.2010წ.;
file/pdf/kr20119.pdf (08.05.2019).

<http://www.supremecourt.ge/files/upload->

ვებგვერდები და ელექტრონული ლიტერატურა

- ბარბაქაძე, ხათუნა. 2008. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში; მონოგრაფია <http://www.nplg.gov.ge> (სამოქალაქო ბიბლიოთეკა). თბილისი.
- საქართველო. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. 2011. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ.” (9, 07.04.2011). სსიპ „საქართველოს საკონმდებლო მაცნე“. [https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1279790\(08.05.2019\);](https://www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1279790(08.05.2019);)
- საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. 2011. მინისტრის ბრძანება ცვლილებების შეტანის თაობაზე “იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის N 21 ბრძანებაში. (148, 21.11.2011). სსიპ „საქართველოს საკონმდებლო მაცნე.“ 21/11/2011წ. www.matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=151263